№1079 2015 წლის 27 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესყიდვის პროცედურების სპეციალური წესების გამოყენების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, ევროკომისიასთან დადებული საგრანტო ხელშეკრულების (2015 წლის 30 მარტის საგრანტო ხელშეკრულება „სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა - II“, ვადით 30 თვე, თანხით 1.050,000 (ერთი მილიონ ორმოცდაათი ათასი) ევრო, ხელშეკრულების ნომერი №ENPI/2014/350-731) ფარგლებში, რომლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ევროკავშირის მიერ დადგენილი წესები ხარჯების გაწევისა და შესყიდვების განხორციელების პროცედურებთან დაკავშირებით, პროექტის განხორციელებისას იხელმძღვანელოს ზემოაღნიშნული პროცედურებით, განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვები და შემდგომში ანგარიში წარუდგინოს გრანტის გამცემს.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**